ოქმი:**ო05. 3726015001**

თარიღი:**15/01/2026**

ოქმი N 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2026 წელი, 14 იანვარი

ქ.ოზურგეთი

14:30 – 15:00-საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, გ. კილაძე, ხ. ცერცვაძე, ლ. მესხი, ი. დობორჯგინიძე, ლ. კვაჭაძე, ქ. კვაჭანტირაძე, მ. ცქვიტინიძე, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: მ. ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: მ. ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

3. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: მ. ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: მ. ჩხიკვიშვილი

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, მ. ჩხიკვიშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი - მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი. საკითხზე ვრცლად კი ისუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ და აღნიშნა, რომ პროექტი მომზადებულია მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე და ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების 10%-იან

ზრდას. აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი შეესაბამება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. შესაბამისი თანხები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და ერთმად მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. ამავე საკითხზე ვრცლად ისუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ და განაცხადა, რომ დადგენილების პროექტი ასევე მომზადებულია მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე და ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების 10%-იან ზრდას. აღნიშნა, რომ პროექტი პასუხობს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. შესაბამისი თანხები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, მ. ჩხიკვიშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია, დღის წესრიგის მესამე საკითხზე, ხოლო ვრცლად ისუბრა თანამომსსენებელმა პ. ჭყონიამ. მან აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი ეხება მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებას და შეესაბამება თვითმმართველობის ორგანოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზრდას. პროექტი შეესაბამება თვითმმართველობის ორგანოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისი თანხები გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ოთხივე საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი